შპს "შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექს-პერტიზის ცენტრი"

LTD "THE CENTER OF BUILDING RESEARCH AND EXPERTISE"

ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა

Tamar Mefis gam. 5ª, Tbilisi, Georgia

ტელ: (032) 2-22-77-04, E-mail: expertisecntr@gmail.com

16.05.2018 № 08-07-15

თქვ. № _____

გამგეობა,
დირექტორი:
დემური ტაბატაძე
/ხელმოწერა/ /სახელი გვარი/

ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის იდენტიფიკაცია: ქ. თბილისი ალ.ყაზბეგის №34 ს/კ 01,14,03,040,014
დამკვეთი ს.ს "ფუდმარტი"

დასკვნის შედგენის საფუძველი: დამკვეთი ს.ს "ფუდმარტი" **ხელშეკრულება**

№F/2018-12/16 (10.05.2018 წელი)

ექსპერტიზის ობიექტი: ქ. თბილისი ალ.ყაზბეგის №34 -ში (ს/კ 01,14,03,040,014) მდებარე ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა

ექსპერტიზის ამოცანა: ქ. თბილისი ალ.ყაზბეგის №34 -ში (ს/კ 01,14,03,040,014) მდებარე ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის ინსპექტირება

თბილისი

2018 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელები - - - - - - - - - - - - - - - - - - 3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები - - - - - - - - - - - - - - - - - - 3
3. წარმოდგენილი მასალები - - - - - - - - - - - - - - - - - - 4
4. კვლევითი ნაწილი - - - - - - - - - - - - - - - - - - 5
5. დასკვნა - - - - - - - - - - - - - - - - - - 9



ექსპერტიზის შემსრულებლები

დთო ჯანყარაშვილი– განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-კონსტრუქტორი, პროფესორი, აკადემიური დოქტორი, მუშაობის სტაჟი – 45 წელი.

წარმოდგენილი მასალები გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
2. СНиП 2.02.01-83 основания зданий и сооружений, 1983 г.;
3. Справочник проектировщика. „Основания фундаменты и подземные сооружения“. М. 1985 г;
4. СНиП 2.03.01-84* „Бетонные и железобетонные конструкции“. М. 1988 г;
5. საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები“ (დანართი 4);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5).

კვლევითი ნაწილი

შესავალი

ექსპერტის ამოცანას წარმოადგენს. ქ. თბილისი ალ.ყაზბეგის №34 -ში (ს/კ 01,14,03,040,014) მდებარე ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა ფანჯრის ღიობის გეომეტრიული პარამეტრების ცვლილებასთან დაკავშირებით.

კვლევა

განსახილველი ნაგებობა ერთ სართულიანია, უსარდაფო. გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა (იხ. სიტუაციური გეგმა), რომლის მთავარი ფასადი განთავსებულია შანხაის ქუჩის გასწვრივ. გეგმაში მისი გაბარიტული ზომებია 9X10მ-სართულის სიმაღლეა 3,38მ, იგი განთავსებულია სწორ რელიეფზე. საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხნარი სგე-I (ფენა-2). საძირკველი ლენტურია რკინაბეტონის ასეთი გადაწყვეტილება სავსებით მისაღებია ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან და შენობის კონსტრუქციული თავისებურებებიდან გამომდინარე.

ქ. თბილისი საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით, განთავსებულია 8 ბალიან სეისმურ ზონაში, ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით მიეკუთვნება II კატეგორიას, ამიტომ, უბნის სეისმურობად მიღებული იქნეს 8 ბალი. ფარდობით ნიშნულს 0.00 მ-ს შეესაბამება I სართულის იატაკის დონე.

საპროექტო შენობა წარმოადგენს კარკასულ ნაგებობას, გარე კედლების შემავსებლად გამოყენებულია 20-იანი სამშენებლო ბლოკი,გადახურვა ბრტყელი,მონოლითური. შენობის სართულზე განთავსებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები.

მთლიანი შენობის(ს/კ 01,14,03,040,014)ვიზუალური შესწავლით, მისი მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით,დამაკმაყოფილებელია . მასზედ გვერდითი ფასადის მხრიდან არსებული ფანჯარის (ზომებით,სიგანე 188,7 სიმაღლე 148.8) ნახევარზე,უნდა გაიჭრას კარები ზომებით 0.90X2.30მ,

ფანჯრის ღიობის ზომების ცვლილება ტექნიკურად შესაძლებელია სამშენებლო ნორმებისა და წესების(სეისმომედეგი მშენებლობა) მიღებული გეომეტრიული ზომების დაცვის საფუძველზე.ის უნდა შესრულდეს სათანადო კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.(კვლევის ამსახველი ფოტომასალა იხ.დანართში 1) რომელშიც გათვალისწინებული იქნება ასევე ღიობის მოჩარჩოება ლითონის ელემენტებით.

დასკვნა:

ქ.თბილისი, ს/კ 01,14,03,040,014ტექნიკურიმდგომარეობის გამოკვლევის ინსპექტირებით დადგინდა: მთლიანი შენობის (ს/კ 01,14,03,040,014), ვიზუალური შესწავლით, მისი მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით,დამაკმაყოფილებელია . . მასზედ გვერდითი ფასადის მხრიდან არსებული ფანჯარის (ზომებით,სიგანე 188,7 სიმაღლე 148.8) ღიობის ზომების ცვლილება ნახევარზე კარის ღიობის , ზომებით 0.90X2.30მ, შესრულება ტექნიკურად შესაძლებელია სამშენებლო ნორმებისა და წესების(სეისმომედეგი მშენებლობა) მიღებული გეომეტრიული ზომების დაცვის საფუძველზე.ის უნდა შესრულდეს სათანადო კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.(კვლევის ამსახველი ფოტომასალა იხ.დანართში 1) რომელშიც გათვალისწინებული იქნება ღიობის მოჩარჩოება ლითონის ელემენტებით.

კვლევას ეძლევა დადებითი შეფასება.

18.05.2018.